

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
გარემოს დაცვის კომისიის სხდომის  
ოქმი №6

30.01.2026 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

10:30 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: კონსტანტინე ზარნაძე (კომისიის თავმჯდომარე), ჯაბა კოლუა, ლევან ჯაფარიძე, მარიამ გრიგოლიშვილი, ბექა მენტეშაშვილი, ლეილა კოლომიკოვი, ირაკლი ბენდელიანი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. ნინო ბაგაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: კონსტანტინე ზარნაძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე, კონსტანტინე ზარნაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №5-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2026 წლის 28 იანვრის №12-03260288-03 წერილი)

/მომხსენებელი: ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის  
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2026 წლის 16 იანვრის №12-032601650-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2026 წლის 20 იანვრის №12-032602071-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2026 წლის 23 იანვრის №12-032602350-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი/

#### 5. მიმდინარე საკითხები

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2026 წლის 29 იანვრის №12-0326029153-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი/

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2026 წლის 29 იანვრის №12-0326029164-03 წერილი)

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი/

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №5-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2026 წლის 28 იანვრის №12-03260288-03 წერილი)

**სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ლევან მიქავამ.**

მომხსენებლის (ლ. მიქავა) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2026 წლის 1-ელი იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების ნაწილის 273 860 100 ლარის (მათ შორის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში 2025 წელს ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხული ნაშთი - 2 095 600 ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ:

იზრდება გრანტების ნაწილში სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 22 560 000 ლარით (მათ შორის თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 000 000 ლარი (საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი), ხოლო თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 17 560 000 ლარი (საქართველოს რეგიონული

განვითარების სამინისტროს 2026 წლის 8 იანვრის MRD №01/18 წერილი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება ჯამში 296 420 100 ლარით და შეადგენს 2 506 978 300 ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგებების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

**იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები** – 13 490 000 ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 572 800 ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) – 800 000 ლარი, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 1 000 000 ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) – 1 200 000 ლარი, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) – 1 000 000 ლარი, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) – 1 130 000 ლარი, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 6 000 000 ლარი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 23 800 000 ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 18 000 000 ლარი, მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) – 1 300 000 ლარი, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01 01) – 15 847 000 ლარი, სადგურის 2 მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება და მშენებლობა (კოდი 02 01 02) - 1 491 000 ლარი, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) პროგრამის ასიგნებები - 8 937 000 ლარი, საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 350 000 ლარი, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) – 2 000 000 ლარი, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 5 752 000 ლარი, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) – 610 000 ლარი, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 6 387 000 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 1 539 800 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 1 000 000 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 1 000 000 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 1 240 000 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 3 069 100 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 2 000 000 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 3 200 000 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 1 500 000 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 2 045 700 ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 1 200 000 ლარი,

ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 35 597 400 ლარი, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) - 17 953 200 ლარი, *გაშწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01)* - 1 536 700 ლარი, *დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02)* - 4 330 000 ლარი, *თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01)* ქვეპროგრამის ასიგნებები - 235 200 ლარი, *ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02)* - 2 234 100 ლარი, *სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა (კოდი 03 04 01)* - 800 000 ლარი, *ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაცია (კოდი 03 04 03)* - 6 606 500 ლარი, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 349 000 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 500 000 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 411 300 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 300 000 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 500 000 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 1 800 000 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) - 1 700 000 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 500 000 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების 3 განვითარების ხელშეწყობა ვრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 700 000 ლარი, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) - 3 000 000 ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) - 385 000 ლარი, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი 06 02 06 01) - 190 500 ლარი, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 06 02 06 02) - 294 000 ლარი, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) - 241 700 ლარი, სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) - 821 100 ლარი, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) - 2 000 000 ლარი, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) - 915 400 ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 27 854 200 ლარი, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) - 3 400 000 ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (კოდი 07 02 05) - 17 560 000 ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები გლდანის რაიონში (კოდი 07 02 06 01) - 284 100 ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ნაძალადევის რაიონში (კოდი 07 02 06 02) - 261 400 ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დიდუბის რაიონში (კოდი 07 02 06 03) - 200 800 ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 07 02 06 04) - 159 100 ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ვაკის რაიონში (კოდი 07 02 06 05) - 147 700 ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები საბურთალოს რაიონში (კოდი 07 02 06 06) - 221 100

ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ისნის რაიონში (კოდი 07 02 06 07) – 238 600 ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები სამგორის რაიონში (კოდი 07 02 06 08) – 275 900 ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები კრწანისის რაიონში (კოდი 07 02 06 09) – 113 600 ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მთაწმინდის რაიონში (კოდი 07 02 06 10) – 193 200 ლარი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 300 000 ლარი, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) – 778 400 ლარი, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 1 500 000 ლარი, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 2 170 000 ლარი, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 4 000 000 ლარი, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 2 200 500 ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 5 300 800 ლარი, დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა (კოდი 08 06 09) – 1 800 000 ლარი, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) – 4 432 700 ლარი, *ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) პროგრამის ასიგნებები* -3 361 500 ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27)– 30 000 ლარით, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) – 181 800 ლარით, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) – 300 000 ლარით, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (კოდი 10 30) – 143 200 ლარით, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) – 36 800 ლარით, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 254 600 ლარით, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) – 209 000 ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 90 000 ლარით, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 58 600 ლარით.

ამასთან, ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი პროგრამა - კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული სახლების გამოსყიდვა - 10 000 000 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, *ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 01) პროგრამის ფარგლებში, იზრდება სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა 28 ერთეულით*, ხოლო მცირდება სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა - 5 ერთეულით, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის (კოდი 08 01 01) - მომუშავეთა რიცხოვნობა - 1 ერთეულით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა - 10 ერთეულით, შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში გაიზარდა 12 ერთეულით და განისაზღვრა 4963 ერთეულით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 215 948 700 ლარის ოდენობით და ნაშთის

ცვლილება 291 029 600 ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 145 948 700 ლარის ოდენობით, აქედან:

- გადასახადები 1 022 413 600 ლარი, მათ შორის:
- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 282 000 000 ლარი;
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 48 000 000 ლარი;
- მიწაზე ქონების გადასახადი – 20 000 000 ლარი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი – 672 413 600 ლარი.

გრანტები 683 040 700 ლარი, მათ შორის:

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 405 000 ლარი;
- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 4 595 700 ლარი;
- კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 630 000 000 ლარი;
- სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 48 040 000 ლარი.

სხვა შემოსავლები 440 494 400 ლარი, მათ შორის:

- შემოსავალი საკუთრებიდან – 31 000 000 ლარი;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 50 000 000 ლარი;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 112 000 000 ლარი;
- სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 132 000 000 ლარი;
- სანებართვო მოსაკრებელი - 28 026 800 ლარი;
- სხვადასხვა შემოსავლები – 87 467 600 ლარი.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 506 978 300 ლარით, მათ შორის:

ხარჯები განსაზღვრულია - 1 949 189 300 ლარი;

არაფინანსური აქტივების ზრდა – 518 118 200 ლარი;

ვალდებულებების კლება – 39 670 900 ლარი.

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 196 759 400 ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 448 118 200 ლარს, მათ შორის:

– არაფინანსური აქტივების ზრდა – 518 118 200 ლარი.

– არაფინანსური აქტივების კლება – 70 000 000 ლარი.

ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 291 029 600 ლარს, მათ შორის:

- ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის ცვლილება) - 291 029 600 ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 39 670 900 ლარს, მათ შორის:

- ვალდებულებების კლება 39 670 900 ლარი.

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 251 358 700 ლარით.

მომხსენებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა კონსტანტინე ზარნაძემ - თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის (კოდი 03 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებების მატების მიზნობრიობისა და დანიშნულების შესახებ;

ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ - თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგეობების ასიგნებების ზრდის შესახებ.

დასმულ შეკითხვებს ამომწურავად უპასუხა მომხსენებელმა, ბატონმა ლევან მიქავამ.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა კონსტანტინე ზარნაძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 28 იანვრის №12-03260288-03 წერილით წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №5-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყდა:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 28 იანვრის №12-03260288-03 წერილით წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №5-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2026 წლის 16 იანვრის №12-032601650-03 წერილი)

**სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ზაგაშვილმა.**

მომხსენებლის (ნ. ზაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 15 იანვრის №26.43.49 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 12 წინადადება - №01242133577-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01253593105); №01250853273-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01253593172); №01243472654-67(სამსახურებრივი ბარათი: 16-01253593254); №01252513997-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01253593446); №01251912867-67(სამსახურებრივი ბარათი №16-01253593492); №01253162114-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01253601344); №0124360272-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01253601381); №01252743973-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01253601385); №01250694220-67(სამსახურებრივი ბარათი: 16-01253601390); №012506727-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01253651274); №01260093142-67; №01260124581-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - №01242133577-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01253593105) განცხადებით, ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის

ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.81.02.365.126; №01.81.02.365.035; №01.81.02.365.111; №01.81.02.365.121; №01.81.02.365.117; №01.81.02.365.110; №01.81.02.365.112; №01.81.02.365.119; №01.81.02.365.116) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავეისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.81.02.365.126; №01.81.02.365.035; №01.81.02.365.111; №01.81.02.365.121; №01.81.02.365.117; №01.81.02.365.110; №01.81.02.365.112; №01.81.02.365.119; №01.81.02.365.116) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №123 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავეისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.81.02.365.126; №01.81.02.365.035; №01.81.02.365.111; №01.81.02.365.121; №01.81.02.365.117; №01.81.02.365.110; №01.81.02.365.112; №01.81.02.365.119; №01.81.02.365.116) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01250853273-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01253593172) განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ პატარა ლილოში, დავით აღმაშენებლის ქუჩა, №98, №94, №96; №102, №104, №106; ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №81.08.32.294; №81.08.27.358; №81.08.32.315; №81.08.32.314; №81.08.27.366; №81.08.32.259; №81.08.27.953; №81.08.32.254; №81.08.27.007; №81.08.27.012; №81.08.27.927) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, სოფელი პატარა ლილო, დავით აღმაშენებლის ქუჩა №98, №94, №96; №9, №102, №104, №106; ქალაქი თბილისი, დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №81.08.32.294; №81.08.27.358; №81.08.32.315; №81.08.32.314; №81.08.27.366; №81.08.32.259; №81.08.27.953; №81.08.32.254; №81.08.27.007; №81.08.27.012; №81.08.27.927) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №118 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ პატარა ლილოში, დავით აღმაშენებლის ქუჩა, №98, №94, №96; №102, №104, №106; ქალაქ თბილისში, დიდი ლილოში, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №81.08.32.294; №81.08.27.358; №81.08.32.315; №81.08.32.314; №81.08.27.366; №81.08.32.259; №81.08.27.953; №81.08.32.254; №81.08.27.007; №81.08.27.012; №81.08.27.927) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01243472654-67(სამსახურებრივი ბარათი: 16-01253593254) განცხადებით, ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №18-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.179) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ქერჩის ქ. №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის №484 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №125 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, №01.11.05.029.179 საკადასტრო ერთეულის აღმოსავლეთით, ქერჩის ქუჩის მხარეს არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და ხარვეზის სახით დარჩენილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №18-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.179) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება, ასევე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღება. ცვლილებას ექვემდებარება თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №01252513997-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01253593446)

განცხადებით, ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მ. ჯავახიშვილის ქუჩა №11; ქალაქი თბილისი, სასწრაფო სამედიცინო სადგურის მიმდებარედ (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე); ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩა №20-ის მოპირდაპირედ; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის №23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.15.04.003.048; №01.15.04.003.005; №01.15.04.003.044; №01.15.04.003.008; №01.15.04.003.013; №01.15.04.003.024) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მ. ჯავახიშვილის ქუჩა №11; ქალაქი თბილისი, სასწრაფო სამედიცინო სადგურის მიმდებარედ (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე); ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩა №20-ის მოპირდაპირედ; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის №23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.15.04.003.048; №01.15.04.003.005; №01.15.04.003.044; №01.15.04.003.008; №01.15.04.003.013; №01.15.04.003.024) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №112 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის N130 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მ. ჯავახიშვილის ქუჩა №11; ქალაქი თბილისი, სასწრაფო სამედიცინო სადგურის მიმდებარედ (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე); ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩა №20-ის მოპირდაპირედ; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის №23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.15.04.003.048; №01.15.04.003.005; №01.15.04.003.044; №01.15.04.003.008; №01.15.04.003.013; №01.15.04.003.024) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებად.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №01251912867-67(სამსახურებრივი ბარათი №16-01253593492) განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, გენო ქარუმიძის ქუჩა, №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.81.02.261.016; №01.81.02.261.026; №01.81.02.261.015) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.81.02.261.016; №01.81.02.261.026; №01.81.02.261.015) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №119 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, გენო ქარუმიძის ქუჩა, №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.81.02.261.016; №01.81.02.261.026; №01.81.02.261.015) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - №01253162114-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01253601344) განცხადებით, ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა, №10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა, №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.16.05.012.093; №01.16.05.012.092; №01.16.05.012.028; №01.16.05.012.029) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.16.05.012.093; №01.16.05.012.092; №01.16.05.012.028; №01.16.05.012.029) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №117 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, №01.16.05.012.028 საკადასტრო ერთეულის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა, №10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა, №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.16.05.012.093; №01.16.05.012.092; №01.16.05.012.028; №01.16.05.012.029) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, №01.16.05.012.028 საკადასტრო ერთეულის

მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - №0124360272-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01253601381) განცხადებით, ქ. თბილისში, ევროპის ქუჩა №4, №4ა, №6, №6ბ, №6გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.15.001.035, №01.19.15.001.098, №01.19.15.002.027, №01.19.15.002.007, №01.19.15.002.008, №01.19.15.002.006) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, იუმაშევის ქ. №13-ის მიმდებარედ, აეროპორტოს მიმდებარედ, აეროპორტის გზაზე და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.15.001.035, №01.19.15.001.033 (ახალი საკადასტრო კოდი: №01.19.15.001.098), №01.19.15.001.041 (ახალი საკადასტრო კოდი: №01.19.15.001.098), №01.19.15.002.005 (ახალი საკადასტრო კოდი: №01.19.15.002.027), №01.19.15.002.010 (ახალი საკადასტრო კოდი: №01.19.15.002.027), №01.19.15.002.022 (ახალი საკადასტრო კოდი: №01.19.15.002.027) სასაწყობე-საოფისე შენობა-ნაგებობის დასაპროექტებლად” ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 9 ივლისის №1854 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №126 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიღმა, №01.19.15.001.035 საკადასტრო ერთეულის სამხრეთითა და აღმოსავლეთით მიჯნაზე არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით დარჩენილი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, №01.19.15.001.098 საკადასტრო ერთეულის აღმოსავლეთით და №01.19.15.002.006 საკადასტრო კოდის სამხრეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, ასევე, №01.19.15.002.027, №01.19.15.001.098 საკადასტრო ერთეულების ნაწილსა და მათ შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, იუმაშევის ქ. №13-ის მიმდებარედ, აეროპორტის მიმდებარედ, აეროპორტის

გზაზე და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.15.001.035, №01.19.15.001.098, №01.19.15.002.027, №01.19.15.002.007, №01.19.15.002.008, №01.19.15.002.006) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, №01.19.15.001.035 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, №01.19.15.001.098 საკადასტრო ერთეულის აღმოსავლეთით და 01.19.15.002.006 საკადასტრო კოდის სამხრეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, №01.19.15.002.027, №01.19.15.001.098 საკადასტრო ერთეულების ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

- განმარტებითი ბარათის „თ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - №01252743973-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01253601385) განცხადებით, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-14 კილომეტრზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.232.004) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-14 კილომეტრზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.232.004) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №120 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, №01.72.14.232.004 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-14 კილომეტრზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.232.004) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, №01.72.14.232.004 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ი“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - №01250694220-67(სამსახურებრივი ბარათი: 16-01253601390) განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.616; №01.72.58.031.043) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.616; №01.72.58.031.043) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №121 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, №72.16.23.412, №01.72.58.031.020, №01.72.58.031.039 საკადასტრო ერთეულებსა და №72.16.15.616, №01.72.58.031.043, №72.16.23.992, №72.16.23.993, №72.16.23.684 საკადასტრო ერთეულებს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, სატრანსპორტო ქვეზონის სწორხაზოვანი კონფიგურაციისა და გზათა ქსელის ჩამოყალიბების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

სადგურებს ან ავტოგასამართ კომპლექსებს, აირგასამართ ან აირსავსებ საკომპრესორო სადგურებს, გზატკეცილების გასხვისების ზოლებს და სადგურებს (მათ შორის აეროსადგურები, საწყლოსნო სადგურები, ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები).

აღნიშნულ ფუნქციურ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა განაშენიანების რეგულირების წესების მე-15 მუხლით განსაზღვრული ქვეზონით მოცული შენობა-ნაგებობებისა და სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფი სხვა საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობებისა კანონმდებლობის შესაბამისად.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2), მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ) და მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), რაც არ არის შესაბამისობაში ფაქტობრივ მდგომარეობასთან, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მრავალფუნქციური კომპლექსი (ავტოსერვისი, ავტოსამრეცხაო, ავტონაწილების მაღაზია).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2026 წლის 14 იანვრის №0126014823 წერილის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე, ფაქტობრივი სიტუაციისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელდეს სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, №01.19.27.001.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის აღმოსავლეთით, დავით კობახიძის I შესახვევის ქუჩის პარალელურად და სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი

უფლების აღდგენის მიზნითა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჭირნახულის ქუჩა, №24-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.27.001.012) ნაწილზე საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2), ასევე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღება.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01260131205-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, გვაზაურის ქუჩა №54-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.09.023.064) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არის სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს; ასევე, შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/ნ: 203836233) ჯიხურებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 22 დეკემბრის №0125356965 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მერიის ერთიანი რუკისა და განცხადებაში წარმოდგენილი ფოტომასალის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივ ღობეზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ამასთან, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირებით არ მცირდება გზის - გვაზაურის ქუჩაზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონის - პარამეტრები.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, ინტერაქტიულ რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა,

№01.12.09.023.064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და საპროექტო ტერიტორიას შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გვაზაურის ქუჩა №54-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.09.023.064) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, უძოს ქუჩის შესახვევში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.36.014.273, №01.17.07.030.679-ის ნაწილი, №01.19.36.014.186, №01.17.10.005.098, №01.17.10.005.097, №01.17.10.005.050, №01.17.10.005.036, №01.17.10.005.055, №01.17.10.005.072, №01.17.10.005.071, №01.17.10.005.041, №01.17.10.005.044, №01.17.10.005.045, №01.17.10.005.088-ის ნაწილი, №01.17.10.005.062-ის ნაწილი, №01.17.10.005.061-ის ნაწილი, №01.17.10.005.046, №01.17.10.005.043, №01.17.10.005.042, №01.19.36.007.027, №01.19.36.006.150, №01.19.36.007.004, №01.19.36.007.012, №01.19.36.007.014, №01.19.36.007.020, №01.19.36.007.021, №01.19.36.007.001, №01.19.36.007.017, №01.19.36.007.018, №01.19.36.007.003, №01.19.36.007.006, №01.19.36.007.002, №01.19.36.007.008, №01.19.36.007.024, №01.19.36.007.013, №01.19.36.007.005, №01.19.36.007.025, №01.19.36.007.009, №01.19.36.007.100, №01.19.36.007.015, №01.19.36.014.460, №01.19.36.014.804, №01.19.36.014.546, №01.19.36.014.547, №01.17.10.005.058, №01.17.10.005.105-ის ნაწილი, №01.17.10.005.065-ის ნაწილი, №01.17.10.005.066-ის ნაწილი, №01.17.10.005.094-ის ნაწილი) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილებასა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული/არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნასთან დაკავშირებით.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2026 წლის 16 იანვრის №18-01260163725 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო არეალზე, გარდა ტერიტორიის იმ ნაწილისა, სადაც ვრცელდება სარეკრეაციო საპარკე არეალი, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო, 2026 წლის 20 იანვრის №61-01260203576 წერილის შესაბამისად, როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანო, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალური ინტერესიდან გამომდინარე, მომავალში შესაძლებელია აღირიცხოს მის საკუთრებად, განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული/არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, უძოს ქუჩის შესახვევში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.36.014.273, №01.17.07.030.679-ის ნაწილი, №01.19.36.014.186, №01.17.10.005.098, №01.17.10.005.097, №01.17.10.005.050, №01.17.10.005.036, №01.17.10.005.055, №01.17.10.005.072, №01.17.10.005.071, №01.17.10.005.041, №01.17.10.005.044, №01.17.10.005.045, №01.17.10.005.088-ის ნაწილი, №01.17.10.005.062-ის ნაწილი, №01.17.10.005.061-ის ნაწილი, №01.17.10.005.046, №01.17.10.005.043, №01.17.10.005.042, №01.19.36.007.027, №01.19.36.006.150, №01.19.36.007.004, №01.19.36.007.012, №01.19.36.007.014, №01.19.36.007.020, №01.19.36.007.021, №01.19.36.007.001, №01.19.36.007.017, №01.19.36.007.018, №01.19.36.007.003, №01.19.36.007.006, №01.19.36.007.002, №01.19.36.007.008, №01.19.36.007.024, №01.19.36.007.013, №01.19.36.007.005, №01.19.36.007.025, №01.19.36.007.009, №01.19.36.007.100, №01.19.36.007.015, №01.19.36.014.460, №01.19.36.014.804, №01.19.36.014.546, №01.19.36.014.547, №01.17.10.005.058, №01.17.10.005.105-ის ნაწილი, №01.17.10.005.065-ის ნაწილი, №01.17.10.005.066-ის ნაწილი, №01.17.10.005.094-ის ნაწილი) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული/არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა კონსტანტინე ზარნაძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2026 წლის 23 იანვარს №12-032602350-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №0125361168-67; №01260131205-67 და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების

სააგენტოს ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყდა:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2026 წლის 23 იანვარს №12-032602350-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №0125361168-67; №01260131205-67 და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე (მიმდინარე) საკითხები:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2026 წლის 29 იანვრის №12-0326029153-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეხუთე (მიმდინარე) საკითხით გათვალისწინებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2026 წლის 29 იანვრის №12-0326029153-03 წერილი) წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის №26.137.151 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - №01260264575-67; №01260153-67; №01253571867-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - №01260264575-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა, №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.17.005.058) ნაწილსა და ქალაქ თბილისში, ბახტრიონის ქუჩის მიმდებარე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.17.005.040) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს №01.10.17.005.048 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრების (ე.წ. „წითელი ხაზების“) კორექტირება.

№01.10.17.005.048 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულია 139 კვ.მ მიწის ნაკვეთი, №01.10.17.005.003 და №01.10.17.005.037 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად, საიდანაც №01.10.17.005.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით არსებულ მომიჯნავე ტერიტორიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის №24.1181.1339 განკარგულებითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის №42-60 დადგენილებით, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება და გაიცა საკუთრების უფლების N538 მოწმობა ადა წოწელიას (პ/ნ: 01030040915) სახელზე, 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე.

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.17.005.048) საკადასტრო მონაცემების დაზუსტება/ცვლილების თაობაზე, №882025751020 სარეგისტრაციო განცხადებით მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება, რომლის ფარგლებში მოძიებული დოკუმენტაციის/ინფორმაციის მიხედვით, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ან მართლზომიერი მფლობელობის ფაქტი არ დადასტურდა, რის გამოც, დოკუმენტაცია განსახილველად გადაგზავნილ იქნა ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, №01.10.17.005.058 და №01.10.17.005.040 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების 68-ე მუხლის თანახმად თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი ზონები და ქვეზონები ატარებს ოპერატიულ ინფორმაციას თბილისში არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და მისი გათვალისწინება სავალდებულოა სამშენებლო და გეგმარებითი ნებართვების გაცემის პროცესში.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) არის სარეკრეაციო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში ან მის გარეთ არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: ბაღს, ბულვარს, სკვერს, გაზონს და სხვა მსგავსს, გარდა სხვა სარეკრეაციო ზონებში მოქცეულისა.

იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეკრეაციო ზონა 1-ში (რზ-1) დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების ან/და ბილიკებისა. ასევე, დასაშვებია ტრანსპორტის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზის მოწყობა.

საპროექტო ტერიტორიის გეგმარებითი ხასიათი არ შეესაბამება ზემოთ ჩამოთვლილიდან არცერთს, ვინაიდან ფაქტობრივი მდგომარეობით - ინტერაქტიული რუკის მონაცემებზე დაყრდნობითა და ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი დასაბუთებით დგინდება, რომ წარმოდგენს შენობა-ნაგებობების ნაწილზე გავრცელებულ ფუნქციურ ზონირებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს, 2026 წლის 27 იანვრის №01260271575 წერილის შესაბამისად, მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ამასთან, საპროექტო ტერიტორია მოიცავს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ №01.10.17.005.040 საკადასტრო ერთეულს. 2025 წლის 23 დეკემბრის №61-01253573569 წერილის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო, როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანო, არ არის წინააღმდეგი №01.10.17.005.040 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა, N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.17.005.058) ნაწილსა და ქალაქ თბილისში, ბახტრიონის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.17.005.040) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01260153-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, 9 ძმის ქუჩა N69-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.03.024.019) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არის სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვივისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს; ასევე, შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/ნ 203836233) ჯიხურებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2026 წლის 28 იანვრის №01260281815 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მერიის ერთიან რუკასა და განცხადებაში წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით,

დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივ შენობა-ნაგებობაზე და არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ამასთან, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავე ტერიტორიაზე სისტემურად, ერთიან არეალზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ), მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, შენარჩუნდება ერთიანი სახის ზონის სტრუქტურა, საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი და ფუნქციური ზონის ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი, ასევე, მოთხოვნილი სახით ცვლილებით არ მცირდება გზის პარამეტრები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, 9 მმის ქუჩა №69-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.03.024.019) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01253571867-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ კვესეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.81.28.044.073) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული ფუნქციური ზონის დაბრუნება სამშენებლოდ განვითარების მიზნით.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სატყეო ზონა, რაც ზღუდავს მესაკუთრის კანონიერ უფლებებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2026 წლის 28 იანვრის №01260281412 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნითა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ კვესეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.81.28.044.073) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა კონსტანტინე ზარნაძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2026 წლის 29 იანვარს №12-0326029153-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01260264575-67; №01260153-67; №01253571867-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყდა:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2026 წლის 29 იანვარს №12-0326029153-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01260264575-67; №01260153-67; №01253571867-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2026 წლის 29 იანვრის №12-0326029164-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეხუთე (მომდინარე) საკითხით გათვალისწინებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2026 წლის 29 იანვრის №12-0326029164-03 წერილი) წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის №26.137.151 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01253281983-67).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი - №01253281983-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა, №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.011.027) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე ფაქტობრივად განთავსებულია საამქრო, სასაწყობე და ავტომომსახურების ფუნქციის შენობები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების თანახმად, სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) წარმოადგენს ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ მიწისზედა და მიწისქვეშა ავტოსადგომებს, ავტოგასამართ სადგურებს ან ავტოგასამართ კომპლექსებს, აირგასამართ ან აირსავსებ საკომპრესორო სადგურებს, გზატკეცილების გასხვისების ზოლებს და სადგურებს (მათ შორის აეროსადგურები, საწყლოსნო სადგურები, ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები). აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების მე-15 მუხლით განსაზღვრული ქვეზონით მოცული შენობა-ნაგებობებისა და სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფი სხვა საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობებისა კანონმდებლობის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2025 წლის 24 დეკემბრის №01253583892 წერილის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიასა და მის მიმდებარედ, ფაქტობრივი სიტუაციისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წინააღმდეგი არ არის, განსახილველი მონაკვეთი განვითარდეს განცხადებაში მოთხოვნილი ფუნქციით და მასზე გავრცელდეს სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 19 დეკემბრის №01253532971 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია (საკადასტრო კოდი: №01.17.10.011.027) განკარგულია სახელმწიფოს მიერ, საკითხი კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გადაეგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო, როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანო, არ არის წინააღმდეგი 2026 წლის 29 იანვრის №61-01260293344 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება №01.17.10.011.027 საკადასტრო ერთეულზე, იმ პირობით, თუ ფუნქციური ზონის ცვლილებით განპირობებული ფასთაშორისი სხვაობის დაფარვა განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდგომ, არაუმეტეს 3 თვის განმავლობაში.

ამასთან, ფასის გადახდა წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის საფუძველს.

საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორია ხასიათდება შერეული ტიპის განაშენიანებით. განსახილველ ტერიტორიაზე ფაქტობრივად განთავსებულია საამქრო,

სასაწყობე და ავტომომსახურების ფუნქციის შენობები, აღნიშნული შეესაბამება მოთხოვნილი ფუნქციური ზონირებისთვის დასაშვებ სახეობას. შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებით არ იცვლება მიმდებარე განაშენიანების სტრუქტურა, სივრცითი წყობა და მიმდებარე განაშენიანების ქალაქგეგმარებითი ხასიათი.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, №01.17.10.011.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, №01.17.10.011.051 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა, N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.011.027) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა ფუნქციური ზონის ცვლილებით განპირობებული ფასთაშორისი სხვაობის გადახდის პირობით, ასევე, №01.17.10.011.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, №01.17.10.011.051 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა, შეკითხვები და შენიშვნები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა კონსტანტინე ზარნაძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2026 წლის 29 იანვარს №12-0326029164-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01253281983-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7


წინააღმდეგი - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყდა:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2026 წლის 29 იანვარს №12-0326029164-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01253281983-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა კონსტანტინე ზარნაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



კონსტანტინე ზარნაძე